მოწვევის ოფერტა

წინამდებარე მოწვევის ოფერტა წარმოადგენს შპს ,,ომეგა“-ს მიერ ღია მულტიპლექს პლატფორმასთან მაუწყებლების დაშვებაზე შეთავაზებას. გაცნობებთ რომ ღია საეთერო მულტიპლექსფლატფორმაში არსებული თავისუფალი რესურსი შეადგენს 18.1 მგბ/წმ-ს.

სიგნალის მიწოდების ადგილი და ტექნიკური პარამეტრები

შპს ,,ომეგა“-ს, ღია მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვებისთვის, მაუწყებელმა უნდა მიაწოდოს სატელევიზიო კონტენტი ვიდეო-აუდიო სიგნალით (SDI VIDEO + EMBEDED AUDIO) საკუთარი ხარჯით, უწყვეტად; ამასთანავე, შესაძლებელია მხარეები შეთანხმდნენ სარეზერვო სიგნალის მიწოდებაზე.

სიგნალის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: დაბა მაგლისი, დიდი თონეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ანძაზე.

კომპანია იყენებს MPEG-4 ტექნოლოგიას.

ფასი

სიგნალის 1მგბ/წმ-ით გავრცელების ღირებულებაა 400 (ოთხასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

განმარტება: *სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება უნდა განხორციელდეს მინიმუმ 2.15 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების – მინიმუმ 1.7 მგბ/წმ) სიჩქარით, ხოლო მაღალი გარჩევადობის (HD) ფორმატის მონაცემთა მიწოდება უნდა განხორციელდეს 8 მგბ/წმ (ვიდეო გამოსახულების – მინიმუმ 7 მგბ/წმ) სიჩქარით.*

ანგარიშსწორების წესი და პირობები

შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოხდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების წესით მომსახურების ყოველი თვის დადგომამდე წინასწარ.

მხარეთა შორის ურთიერთობის დარეგულირება

მხარეთა შორის ფორმდება დაშვების თაობაზე ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადით.